

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აგროეკოლოგიური ზონები

მაია მელაძე

maia.meladze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, თსუ, ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, II კორპ.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მრავალწლიური მეტეოროლოგიური დაკვირვებების მაჩვენებლების მიხედვით, სავეგეტაციო პერიოდისათვის (IX-X) გამოთვლილია აგრომეტეოროლოგიური მახასიათებლები - აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (10°C -ის ზევით) და ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ), რომელთა საფუძველზეც გამოყოფილია 4 აგროეკოლოგიური ზონა, შესაბამისი აგროკულტურების გავრცელებისათვის.

I - ზონაში ტემპერატურის ჯამი 4000 -დან 3000°C -მდეა. იგი მდებარეობს 500 მ-დან 1000 მ სიმაღლემდე ზღ. დონიდან. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა თბილ პერიოდში შეადგენს 390 - 500 მმ. ბოლო წაყინვები დაიკვირვება საშუალოდ $13.IV$ - $23.IV$, ზღ. დონიდან 500 - 1000 მ სიმაღლეებზე (შესაბამისად). პირველი წაყინვები აღინიშნება იგივე სიმაღლეების მიხედვით $27.X$ -დან $3.XI$ -მდე. წარმატებით შეიძლება განვითარდეს მარცვლეულის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ვაზის (საადრეო, საშუალო სიმწიფის და საგვიანო ჯიშების) ხეხილოვანი და სხვა კულტურების წარმოება. სავეგეტაციო პერიოდში (IV-X), ატმოსფერული ნალექებით ზონა არ არის უზრუნველყოფილი, ამიტომ აღნიშნული კულტურების მაღალი და გარანტირებული მოსავლის მისაღებად, განსაკუთრებით აქტიური ვეგეტაციის პერიოდში (VI-VIII), საჭიროა ძირითადად ერთწლიანი კულტურების მორწყვა (2-3-ჯერ), ნიადაგის გაფხვიერება.

II - ზონა ვრცელდება 550 მ-დან 1200 მ სიმაღლემდე, ზღ. დონიდან. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 3000 -დან 2000°C -მდე და ცოტა მეტს. ატმოსფერული ნალექების ჯამი თბილ პერიოდში შეადგენს 400 - 700 მმ. ბოლო წაყინვების შეწყვეტა აღინიშნება საშუალოდ $13.IV$ - $23.IV$, ზღ. დონიდან 550 - 1200 მ-მდე (შესაბამისად). პირველი წაყინვები ზონაში მოსალოდნელია საშუალოდ $22.X$ -დან $3.XI$ -მდე, იგივე სიმაღლეებზე (შესაბამისად). ზონაში შეიძლება მარცვლეული, ვაზი (საადრეო საშუალო სიმწიფის ჯიში), ბოსტნეული კულტურების წარმოება. ამ ზონაში ცალკეულ წლებში, განსაკუთრებით VI-VIII თვეებში სასურველია ნიადაგის მორწყვა (1-2-ჯერ) ან გაფხვიერება.

III - ზონა მდებარეობს ზღ. დონიდან 1000 - 1800 მ სიმაღლემდე. ტემპერატურათა ჯამი 10° -ის ზევით შეადგენს 2000 - 1000°C . ატმოსფერული ნალექების ჯამი თბილ პერიოდში 600 - 800 მმ. ბოლო წაყინვების შეწყვეტა მოსალოდნელია საშუალოდ $28.IV$ -დან $12.V$ -მდე, ზღვის დონიდან სიმაღლის მატების შესაბამისად. პირველი წაყინვები აღინიშნება საშუალოდ $15.X$ -დან $3.X$ -მდე, ასევე სიმაღლის მატების შესაბამისად. ზონაში რამდენადმე შეზღუდულია კონტინენტალური ხეხილოვანების წარმოება, მაგრამ ხელსაყრელია საადრეო ჯიშების გაშენებისათვის. აქ შესაძლებელია ქერის, ჭვავის, შვრიის, ბოსტნეულის, კარტოფილის, სურნელოვან-არომატული კულტურების წარმოების განვითარება. ზონა ასევე ხელსაყრელია მეცხოველეობის საკვები ძირხვენების და სათიბ-სამოვრების განვითარებისათვის.

IV - ზონა მდებარეობს 1200 მ-დან 2000 მ სიმაღლემდე (ზღ. დონიდან) და ცოტა მეტ სიმაღლემდე. ტემპერატურის ჯამი 10°C -ის ზევით 1000°C -ზე ნაკლებია. ატმოსფერული ნალექების ჯამი თბილ პერიოდში შეადგენს 800 - 1000 მმ. ბოლო წაყინვების შეწყვეტა მოსალოდნელია $28.IV$ -დან $9.VI$ -მდე. პირველი წაყინვები მოსალოდნელია $3.X$ -დან $21.X$ -მდე. ზონაში შეიძლება კარტოფილის, ბოსტნეულის, ყვავილოვანი და საადრეო კომბოსტოს წარმოება. ასევე შესაძლებელია კენკროვანების, მეცხოველეობის საკვები ძირხვენების წარმოება და სათიბ-სამოვრების განვითარება.